



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №216

2016 წლის 29 ნოემბერი


ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის მრავალწლიან შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 29 ნოემბრის №11/5413 მომართვის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მრავალწლიანი შესყიდვის საშუალებით განახორციელოს:
 - 1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ქსნის, ერედისა და ნიჩბისის საბავშვო ბაღებისთვის ინვენტარის შესყიდვა - საერთო თანხით 77 700 ლარი;
 - 1.2. სოფელ ძალისში საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - საერთო თანხით 30 500 ლარი.
2. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განახორციელოს სამშენებლო მასალების შესყიდვა - საერთო თანხით 25 900 ლარი.
3. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედრო ქ. №17

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოღაშვილი